

# *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ევროპის საბჭოს კონვენციის ანალიზი*

*შესრულებულია მარინა მესხის,  
საბა ცაგარეიშვილისა და  
ქეთევან აბაზაძის მიერ*

*წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობისა და რეალობის ანალიზს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში. დოკუმენტი შედგება შემდეგი თავებისაგან:*

- 1. თავი I: ოჯახში ძალადობის პრობლემის ზოგადი მიმოხილვა;*
- 2. თავი II: კონვენციის მუხლების განხილვა სამართლებრივი ანალიზისა და რეალური სურათის შედარების მეთოდით. მუხლები განხილული იქნება არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ შინაარსისა და ერთგვაროვანი საკითხების მიხედვით;*
- 3. თავი III: რეკომენდაციები.*

## სარჩევი

თავი I.....	4
1. შესავალი.....	4
1.1. პრობლემის მიმოხილვა.....	4
1.2. კონვენციის მიღებამდე არსებული რეგულაციები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.....	4
თავი II.....	5
2. კონვენციის მუხლების ანალიზი და რეკომენდაციები ეროვნულ კანონმდებლობასა და რეალობასთან მიმართებით.....	5
2.1. მუხლი 4 – ფუნდამენტური უფლებები, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციაზე უარის თქმა; მუხლი 5 - სახელმწიფოს ვალდებულებები და სათანადო შემოწმება; .....	6
მუხლი 6 - გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკა.....	6
2.2. მუხლი 9 - არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება; 7	
მუხლი 10 - მაკოორდინირებელი ორგანო.....	7
2.3. მუხლი 11 - მონაცემთა შეგროვება და კვლევა.....	12
2.4. მუხლი 12 - ზოგადი ვალდებულებები (პრევენცია); მუხლი 13 - ცნობიერების ამაღლება; .....	14
მუხლი 17 - კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობა.....	14
2.5. მუხლი 14 - განათლება;.....	18
მუხლი 15 - პროფესიონალთა ტრენინგი.....	18
2.6. მუხლი 16 - პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამები 21	
2.7. მუხლი 18 - დაცვა და მხარდაჭერა, ზოგადი ვალდებულებანი;.....	23
მუხლი 20 - ზოგადი მხარდაჭერი მომსახურება; .....	23
მუხლი 21 - დახმარება ინდივიდუალური/კოლექტიური სარჩელების შედგენაში; 23	
მუხლი 22- დამხმარე მომსახურება სპეციალისტთა მხრიდან;.....	24
მუხლი 53 - შემზღუდველი ან დამცავი განკარგულებები .....	24
2.8. მუხლი 19 - ინფორმაცია.....	29
2.9. მუხლი 23 - თავშესაფრები;.....	30

მუხლი 24 - სატელეფონო დახმარების ხაზები;.....	30
მუხლი 25 - სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; .....	30
მუხლი 57- იურიდიული დახმარება.....	30
2.10 მუხლი 26 - ძალადობის მოწმე ბავშვების დაცვა და დახმარება .....	36
2.11 მუხლი 27 - შეტყობინება;.....	39
მუხლი 28 - შეტყობინება პროფესიონალთა მხრიდან.....	39
2.12 მუხლი 30 - კომპენსაცია.....	40
2.13 მუხლი 31 - მეურვეობა, მონახულების უფლებები და უსაფრთხოება .....	41
2.14 მუხლი 32 - იძულებითი ქორწინების სამოქალაქო შედეგები; .....	42
მუხლი 37 - იძულებითი ქორწინება .....	42
2.15 მუხლი 34 - დევნა.....	43
2.16 მუხლი 38 - ქალის გენიტალიების დასახიჩრება .....	44
2.17 მუხლი 39 - იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.....	45
2.18 მუხლი 42 - მიუღებელი გამართლებები ჩადენილ (მათ შორის, ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილ) დანაშაულთათვის.....	46
2.19 მუხლი 44 – იურისდიქცია.....	47
2.20 მუხლი 46 – დამამძიმებელი გარემოებები.....	48
2.21 მუხლი 50 – დაუყოვნებლივი რეაგირება, პრევენცია და დაცვა.....	49
2.22 მუხლი 51 – რისკის შეფასება და მართვა.....	50
2.23 მუხლი 54 – გამოძიება და სამხილი.....	51
თავი III.....	52
რეკომენდაციები.....	52

## თავი I

### 1. შესავალი

#### 1.1. პრობლემის მიმოხილვა

ოჯახში ძალადობა მრავალი ეპოქისა და ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, კარგად ნაცნობი პრობლემაა. იმის მიხედვით, რა ჩვეულებითი ან საკანონმდებლო ნორმებითაა შეზღუდული, იგი კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სიმწვავეით იჩენს თავს.

რომაული ეპოქიდან მოყოლებული სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებში, ისევე, როგორც რელიგიასა და კანონმდებლობაში, მამაკაცი ქალზე აღმატებულად გვევლინება. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრობლემა განიხილებოდა როგორც „ოჯახური“ ან „კერძო“ საქმე, რასაც ძირითადად უკავშირებდნენ ალკოჰოლის გამოყენებას, გონებრივ დაავადებას, იმპულსების კონტროლის შეზღუდულ უნარს და სხვა.

მიუხედავად დღეს მოქმედი თეორიისა, რომლითაც ოჯახში ძალადობა აღიარებულია როგორც ერთი პირის მხრიდან მეორის მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოყენება ძალაუფლებისა და კონტროლის მისაღწევად, პრობლემა მაინც არსებობს. ამას განაპირობებს ისეთი ძლიერი ფაქტორები, როგორცაა ტრადიციული გენდერული როლები, რელიგიის გავლენა, მძიმე ეკონომიკური ფონი, რაც კიდევ უფრო ართულებს ქალთა მდგომარეობას, მათ მიმართ დაცვის ზომების ეფექტიანობას და მოძალადეთა დასჯას.

საყოველთაოდ გავრცელებული თეორიის მიხედვით, ოჯახში ძალადობა არის არა ცალკეული კონფლიქტთა, არამედ მორჩილების მისაღწევად გამიზნულ ქმედებათა და ურთიერთობათა ერთობლიობა, სადაც ერთი მხარე მოძალადეა, ხოლო მეორემ იცის, რომ დაზღვეული არ არის აგრესიისაგან.

#### 1.2. კონვენციის მიღებამდე არსებული რეგულაციები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

კონვენციის მიღებამდე არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი სურათი:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლით განისაზღვრა, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“, ხოლო მე-5 მუხლის მიხედვით, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად აღიდგინოს თავისი უფლებები

კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში, თუკი დაირღვა მისი კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებები“.

დეკლარაციით დაცული ეს უფლებები კიდევ უფრო გაღრმავდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. ამ დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა და ის დაცულია კანონით. არავის შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე“.

მოგვიანებით, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 რეკომენდაციის მიხედვით (1992) მითითებულია, რომ ქალის მიმართ ძალადობა ამ კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრული დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა და განიმარტა, როგორც „ძალადობა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ, ან მოქმედებს ქალზე არაპროპორციულად, მისი სქესობრივი კუთვნილების გამო, რაც გამოიხატება ქმედებით, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას.“

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სახელმწიფოთა ვალდებულებაა მოქალაქეთა უფლებების თანაბრად დაცვა და კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით თანაბრად სარგებლობის უზრუნველყოფა.

## თავი II

### 2. კონვენციის მუხლების ანალიზი და რეკომენდაციები ეროვნულ კანონმდებლობასა და რეალობასთან მიმართებით

#### მუხლი 3 - განსაზღვრებები

“ამ კონვენციის მიზნისათვის:

ა. „ძალადობა ქალების წინააღმდეგ“ გაგებულია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ფორმა და გულისხმობს გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოაქვს - ან შეიძლება მოიტანოს - ქალების მიმართ ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ზიანი ან ტანჯვა; მათ შორის, მუქარას ასეთი აქტების ჩადენისა, ძალდატანებას ან თავისუფლების თვითნებურ ხელყოფას, ხდება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

ბ. „ოჯახში ძალადობა“ ნიშნავს ყველა ფიზიკურ, სქესობრივ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას, რაც ხდება ოჯახში ან ოჯახურ წრეში, ან ყოფილ თუ ამჟამინდელ მეუღლეებსა და პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად, დამნაშავე იზიარებს ან იზიარებდა თუ არა საცხოვრებელს მსხვერპლთან....

ე. „დაზარალებული ნიშნავს ყველა ფიზიკურ პირს, რომელიც ექვემდებარება „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქციელს.“

- 2.1. მუხლი 4 – ფუნდამენტური უფლებები, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციაზე უარის თქმა; მუხლი 5 - სახელმწიფოს ვალდებულებები და სათანადო შემოწმება; მუხლი 6 - გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკა.**

**საკანონმდებლო ანალიზი და რეალური სურათი:**

ამ მუხლებთან მიმართებით საინტერესო იქნება საკითხის მოკლედ მიმოხილვა ქალის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების კუთხით.

აღნიშნული სტანდარტების ჩამოყალიბება იწყება ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველივე მუხლში აღიარებულია თანასწორობის უფლება, რაც მოგვიანებით გაზიარდა საერთაშორისო პაქტებით, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლით აღიარებულია თანასწორობის პრინციპი, ხოლო მე-3 მუხლი უშუალოდ ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორობას. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლი კი უზრუნველყოფს ამ უფლებებით თანაბრად სარგებლობას ქალისა და მამაკაცის მიერ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლით განმტკიცებული უფლება - გენდერული ან რაიმე სხვა ნიშნით დისკრიმინაციისაგან დაცვა, რაც ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად.

ქორწინებისა და ოჯახის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლის მიხედვით, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 23-ე და ადამიანის უფლებათა

და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და მე-12 მუხლებით.

უშუალოდ ქალის უფლებათა დაცვასა და თავისუფლებების აღიარებას ემყარება ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, რომლის შესაბამისი მუხლებითაც აღიარებულია ქალთა უფლებების დაცვა თითქმის ყველა სფეროში. ამ კონვენციის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი მოთხოვნაა გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფოთა მიერ და კონვენციით დაცული სხვა უფლებებით სარგებლობის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის კონვენციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ქალის დაცვა ყველა ფორმის ძალადობისაგან (მათ შორის ოჯახში) და გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბება (ე.წ. სტამბულის კონვენცია).

აღნიშნული კონვენცია ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც აყალიბებს სრულიად თანამედროვე სტანდარტებს სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ძირითადი პრინციპების აღიარებაც და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კონვენციის მოთხოვნებთან, როგორც გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის უზრუნველყოფის მხრივ, ისე კონვენციით გათვალისწინებულ მუხლებთან მიმართებით.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობისა და ქალის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცულობას ეროვნული კანონმდებლობით, კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია თანასწორობის უფლება. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გარკვეულწილად აღიარებულია ქალის უფლებათა დაცვა, თუმცა, არსებობს უფლებათა წრე, რომელთა მოწესრიგებაც აუცილებელია სტამბულის კონვენციის შესაბამისად.

## **2.2. მუხლი 9 - არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება;**

### **მუხლი 10 - მაკოორდინირებელი ორგანო**

**საკანონმდებლო ანალიზი:**

სტამბულის კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-9 და მე-10 მუხლები ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებს, დანიშნონ ან დააარსონ ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია კონვენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის პრევენციისა და დამარცხებისაკენ. გარდა ამისა, მათ ხელი უნდა შეუწყონ

არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას და ეფექტიანად ითანამშრომლონ მათთან.

კონვენციის ამ მუხლების მიხედვით, მხარეები უნდა იყვნენ გარანტნი, რომ აღნიშნული მუხლების შესაბამისად დანიშნულ ან დაარსებულ ორგანოებს მიეწოდებათ ზოგადი ინფორმაცია კონვენციის მე-8 თავის თანახმად მიღებულ ზომებზე. ისინი უნდა იყვნენ იმის გარანტნიც, რომ ამ ორგანოებს ექნებათ სხვა მხარეების წარმომადგენელ კოლეგებთან პირდაპირი კავშირის დამყარების უფლებამოსილება და ხელს შეუწყობენ მათთან ურთიერთობის განვითარებას.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო საქართველოში 2008 წელს შეიქმნა, ქვეყნის პრეზიდენტის #625 ბრძანებულებით. საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად შედიოდნენ შესაბამის სფეროში მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები. მისი ძირითადი ამოცანები გახლდათ:

1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლის, ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელშეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.
2. წინადადებების შემუშავება ოჯახში ძალადობის აღკვეთასა და მის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაზე, ასევე, ამგვარი ძალადობის ხელშემწყობ მიზეზთა აღმოფხვრაზე, და საქართველოს პრეზიდენტისათვის განსახილველად წარდგენა.
3. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხთა განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორსა და ამ პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ერთობლივი წინადადებების შემუშავება საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად.
4. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

ეს ბრძანებულება 2015 წლის 14 იანვარს ძალადაკარგულად გამოცხადდა და მის ნაცვლად ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება #630 „პირის ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოში წარდგენისა და საბჭოდან გამოწვევის წესის, საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ,“ რომლითაც განისაზღვრა ამ საბჭოს ახალი ძირითადი შემადგენლობა.



აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა, რომ უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობაში ერთიანდებიან სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლები; ასევე, საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით შეიძლება შევიდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამავდროულად, უწყებათაშორისი საბჭოსთან შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან შესაბამის სფეროში მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ჯგუფის მოვალეობა კი გახლავთ სარეკომენდაციო წინადადებების მომზადება უწყებათაშორისი საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

მთავრობის დადგენილებით არ შეცვლილა უწყებათაშორისი საბჭოს ამოცანები.

დადგენილებით განისაზღვრა უწყებათაშორისი საბჭოს სხდომების ჩატარება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ.

აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოს თავისი ამოცანების შესასრულებლად შექმნილი აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრელი ჯგუფი (შემდგომში – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი), რომელიც შედგება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთაგან. ამ ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი.

ჯგუფი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის შესაბამისი სტატუსის განსაზღვრაზე მიმართვას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად არ გამოიყენება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები (დამცავი/შემაკავებელი ორდერები), ასევე, თუკი სავარაუდო მსხვერპლს მინიჭებული არ აქვს დაზარალებულის სტატუსი.

### **რეალური სურათი:**

როგორც ვხედავთ, საქართველოში სტამბულის კონვენციით დაწესებული ვალდებულებების აღებამდეც არსებობდა უწყებათაშორისი საბჭო, რომლის ამოცანაც გახლდათ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლის, ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და მათი საქმიანობის

კოორდინაცია. შესაბამისად, ამ მხრივ საქართველოში არსებული პრაქტიკა სრულიად შეესაბამება სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს.

თუმცა, ამავედროულად უნდა აღინიშნოს, რომ დასახვეწი და გადასახედია მსხვერპლის მინიჭების პროცედურის პრაქტიკული მხარე. სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ძალადობის მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის განთავსება ვებგვერდზე. ასევე, მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის მრავალრიცხოვნობა, რაც, პრაქტიკულად, ხელს უშლის სტატუსის მინიჭების პროცედურის შეუფერხებლად განხორციელებას და ჯგუფის მუშაობას.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა, ბოლოდროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სფეროში ყველაზე აქტიურად საქმიანობენ და თანამშრომლობენ:

- **ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი:**  
მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვისა და ფსიქო-სარეაბილიტაციო მიმართულებით. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში აქვს კომიტეტები, მათ შორის, კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველი თავშესაფარი სწორედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე დაარსდა 2002 წელს.
- **სახლი** - ქალთა საკონსულტაციო ცენტრი (CIPDD): არასამთავრობო, არამომგებიანი, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1997 წელს, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის, ოქსფამის ბაზაზე. „სახლი“ მუშაობს ოჯახში ძალადობის პრობლემაზე და პირველი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელმაც აღნიშნული პრობლემა თავისი საქმიანობის პრიორიტეტად აქცია და ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობა წარმართა.
- **ქალთა საინფორმაციო ცენტრი** პროექტებით: „გაძლიერებული ქალები მშვიდობისა და განვითარებისათვის“, „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“;
- **ქალთა ცენტრი:** სკრინინგ ცენტრი ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის.
- **ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი:** არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, 1998 წლის აპრილში დაარსებული ფემინისტური კლუბის სამართალმემკვიდრე. 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ფემინისტურმა კლუბმა დააფუძნეს ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი, რომელიც წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდების ერთობას. 2003-2005 წლებში ქალთა პოლიტიკურმა რესურსცენტრმა ორგანიზაციათა და

ინდივიდთა ძლიერი ქსელი შექმნა საქართველოს ყველა რეგიონში და ჩამოაყალიბა სამი რეგიონული ოფისი, კერძოდ, მცხეთაში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ფოთსა (სამეგრელოს რეგიონი) და ქუთაისში (იმერეთის რეგიონი). ამ ქსელის (ისევე, როგორც რეგიონული ოფისების) პრინციპია თანამშრომლობა ქალთა საკითხებით დაინტერესებულ პირებთან. 2005 წელს ქალთა პოლიტიკურ რესურსცენტრს მიენიჭა გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის კონსულტატიური სტატუსი. 2006 წელს ამ ცენტრმა დააფუძნა საერთაშორისო ფონდი, რომელიც სამომავლოდ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას გაუწევს პოლიტიკურად აქტიურ ქალებს და განავითარებს სტრატეგიებს მათი წინსვლისათვის, ასევე, გენდერული ბალანსის დასამყარებლად დემოკრატიულ მმართველობაში.

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** პროექტით: „ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა“.
- **საფარი:** ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას; აქვს დახურული ტიპის თავშესაფარიც ქალებისა და ბავშვებისათვის.
- **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის:** მისია - სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ქალთა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის მხარდაჭერა.
- **სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (CCA):** პროექტებს ახორციელებს პანკისში (მაგ: „ახალგაზრდების ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა“).
- **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI):** მხარს უჭერს ზემოხსენებულ პროექტს. მისი კვლევითი საქმიანობაა: სამოქალაქო ჩართულობა, ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა და ა.შ.
- **ამაგდარი:** ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა და ხელშეწყობა.
- **საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW).**
- **ფონდი ტასო.**

- კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფასო სამართლებრივი დაცვა (თბილისი, გორი, თელავი). „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელება და დახვეწა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა და მხარდაჭერა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში:

- **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women):** მისი მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა სახელმწიფო თავმესაფრები თბილისში, გორში, ქუთაისსა და კახეთში. გარდა ამისა, ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მონაწილეობით შეიქმნა არაერთი დოკუმენტი და რეგულაციის პროცედურა.
- **ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA):** მათი თანადგომით შესრულდა არაერთი პროექტი და მომზადდა ანგარიშები ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა რაკურსით.
- **გაერო-ს მოსახლეობის ფონდი (UNFPA):** მისი მიზანია პოლიციელთა ტრენინგისა და ექიმების გადამზადების ხელშეწყობა.
- ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტი ოჯახში ძალადობის ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური მუშაკების გადამზადებისათვის.

### 2.3. მუხლი 11 - მონაცემთა შეგროვება და კვლევა

**საკანონმდებლო ანალიზი:**

კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საქართველო იღებს პასუხისმგებლობას, რეგულარულად აწარმოოს ერთიანი სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის შემთხვევებზე; ამასთან ერთად, ცალკე სეგმენტად გამოყოს მსჯავრდებულთა რაოდენობა, შეისწავლოს ძალადობის გამომწვევი მიზეზები და შედეგები და განსაზღვროს ეფექტიანობა ზომებისა, რომლებიც გატარდა ამ კონვენციის განსახორციელებლად საქართველოში.

მთავრობის 2014 წლის 25 ნოემბრის #630 დადგენილების („პირის ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოში წარდგენისა და საბჭოდან გამოწვევის წესის, საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ“) მე-4 მუხლის თანახმად, „უწყებათაშორისი საბჭოს ძირითადი ამოცანებია: ოჯახში ძალადობის

აღკვეთის, თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია; ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორსა და ამ პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან; აგრეთვე, ერთობლივი წინადადებების შემუშავება საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი“.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის N684 დადგენილების („ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“) მე-2 მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები/თანამდებობის პირები და სასამართლო, კერძოდ, პირველი - შემაკავებელი ორდერების, ხოლო მეორე - დამცავი ორდერების გამოცემის გზით. აღნიშნული ორგანოების გარდა, ამ სტატუსს ანიჭებს შესაბამის უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფიც.

### **რეალური სურათი:**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვით გამოიკვეთა შემდეგი:

ოჯახში ძალადობის გამოვლენილ შემთხვევებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში აფიქსირებენ ამგვარი ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ორგანოები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - შემაკავებელი ორდერის გამოცემით;
- სასამართლო - დამცავი ორდერის გამოცემით; და
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (სსიპ) - მსხვერპლის სტატუსის მინიჭებით მას შემდეგ, რაც წარედგინება ოჯახური ძალადობის ფაქტზე ინფორმაცია და შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი სოციალური

მომსახურების სააგენტოს, ამ უწყებათაშორისი საბჭოს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების ან სავარაუდო მსხვერპლის მხრიდან.

ამასთან, დადებით კონტექსტში უნდა აღინიშნოს გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს და აქვეყნებს ყოველთვიურ სტატისტიკურ მონაცემებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახურ დანაშაულებზე - რომლებთან მიმართებითაც პასუხისმგებლობა განისაზღვრა სსკ 11'-108, 11'-109, 11'-117, 11'-118, 11'-126', 126' მუხლებით - და პოლიციის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერთა რაოდენობას.

კონვენციის მე-11 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა უწყებათაშორისმა საბჭომ, როგორც ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მონიტორინგის მთავარმა ორგანომ ქვეყანაში, კვარტალურად გამოითხოვოს სტატისტიკური მონაცემები ამგვარი ძალადობის შემთხვევებზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოსგან, ასევე, მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან. უწყებებიდან მიღებული ინფორმაციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფში არსებული მონაცემების გაერთიანებით, საბჭომ შექმნას ერთიანი სტატისტიკური მონაცემების ნუსხა ამგვარი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე, რომელსაც ყოველწლიურად გამოაქვეყნებს. ასევე, ყოველწლიურად ცალკე სემინტად გაასაჯაროვოს ოჯახში ძალადობის დანაშაულზე მსჯავრდებულ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც.

მიზანშეწონილია, საბჭომ, ოჯახში ძალადობის შემთხვევათა პრევენციის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, ამ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციით, ჩაატაროს კვლევა ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების დასადგენად; კვლევაში აისახოს ძალადობის შემთხვევათა და მსჯავრდებულთა რაოდენობა, ასევე, საქართველოში ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტიანობა.

- 2.4. მუხლი 12 - ზოგადი ვალდებულებები (პრევენცია);**  
**მუხლი 13 - ცნობიერების ამაღლება;**  
**მუხლი 17 - კერძო სექტორისა და მასმედიის**  
**მონაწილეობა**

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა ხელი შეუწყონ ქალისა და მამაკაცის სოციალური და კულტურული ქცევის ნიმუშთა ცვლილებას და აღმოიფხვრას ცრურწმენები, ჩვევები, ტრადიციები თუ სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას, ან ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს.

ამავე კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად, მხარეები კერძო, ასევე, საინფორმაციო და კომუნიკაციურ ტექნოლოგიათა სექტორებსა და მასმედიას მოუწოდებენ, აზრის თავისუფალი გამოხატვისა და დამოუკიდებლობის სრული პატივისცემით, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, აგრეთვე სახელმძღვანელოებისა და თვითმარეგულირებელი სტანდარტების ჩამოყალიბებაში ქალთა მიმართ ძალადობის ასარიდებლად და მათი ღირსების უფრო მეტად დასაფასებლად.

კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მისი კომპეტენციით მოცული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჩადენილი ყველა ფორმის ძალადობის აღმოსაფხვრელად, საქართველომ უნდა მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები. სტამბულის კონვენცია იცნობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სხვადასხვა გამოვლინებასა და ფორმას: ა) ფსიქოლოგიური ძალადობა; ბ) ადევნება; გ) ფიზიკური ძალადობა; დ) სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება; ე) იძულებითი ქორწინება; ვ) ქალის გენიტალიების დასახიჩრება; ზ) იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია; თ) სქესობრივი შევიწროება.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ იცნობს ამგვარი ძალადობის ფორმებს, მაგალითად: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულვებლყოფა.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კრიმინალიზებულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური (არასრულად) და სექსუალური ძალადობის (მათ შორის გაუპატიურების), ასევე, იძულების შემთხვევები.

აქვე აღსანიშნავია, რომ მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტებში ცვლილებების პაკეტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა პრევენციის, გამოვლენის, ეფექტიანი გამოძიების, დამნაშავეთა დასჯის, ასევე, მოძალადეთა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის მექანიზმთა სრულყოფისათვის. რაც შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფორმებს ხსენებული ცვლილებებით, საქართველოს კანონმდებლობაში შემოდის მხოლოდ ორი ახალი ფორმა – იძულებითი სტერილიზაცია და ადევნება, რაც დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

## რეალური სურათი:

მედია ოჯახური ძალადობის გაშუქებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ქალთა ძალადობისგან დაცვისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული, რა კუთხით აჩვენებს საზოგადოებას კონკრეტულ მოვლენებს. მედიის როლი შეუცვლელია იმ თემების გააქტიურებაში, რომლებსაც შეუძლია საზოგადოების შეცვლა უკეთესობისაკენ, იქნება ეს ძალადობა, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია თუ სხვა. მისი მთავარი ფუნქციაა ამ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება და თანასწორუფლებიანობის პრინციპთა სწორად მიტანა თითოეულ მოქალაქეში.

ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა, ყურადღების მიღმა არ დარჩეს ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რადგან საქართველოს მოსახლეობა, „ტრადიციული აზროვნებიდან“ გამომდინარე, ძალავეს მსგავს ძალადობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მედიამ ხელი არ შეუწყოს სტერეოტიპთა გაღრმავებას, რომლებიც ისედაც მყარად არის საზოგადოებაში დამკვიდრებული. მისი ერთადერთი მიზანი ასეთი სიუჟეტების გაშუქებისას ოჯახური ძალადობის აღმოფხვრა უნდა იყოს და არა სტერეოტიპულ დამოკიდებულებათა გაღრმავება პატრიარქალური საზოგადოებისათვის; კერძოდ, იმის განმარტება, რა არის ძალადობა, სად და როგორი ფორმით გვხვდება საზოგადოებაში და რა გზები არსებობს მისგან თავდასაღწევად.

ქართული მედიის ერთ-ერთ პრობლემად კი სწორედ გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება რჩება. იგი ხშირად თვითონ ქმნის და ამყარებს ამ სტერეოტიპებს.

ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს მედიის დამსახურება ძალადობის ამდენი შემთხვევის გამოაშკარავებასა და საზოგადოების ინტერესის საგრძნობლად გაზრდაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობა ძალიან მგრძნობიარე საკითხია და მისი სწორად გაშუქება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პრობლემის წინაშე მდგომი ადამიანებისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას ჟურნალისტები ძირითადად ამბის აღწერაზე აკეთებენ აქცენტს და არა ზოგადად ოჯახში ძალადობის პრობლემაზე. მათი ინტერესის საგანი უნდა იყოს არა კონკრეტულად შემთხვევის აღწერა, არამედ პრობლემის სწორად დასმა, განზოგადება, გაანალიზება და შესაბამისი სფეროს სპეციალისტთა მოსაზრებების გაცნობა მისი გადაჭრის გზებზე. მართალია, ჟურნალისტი ახალი ამბების გაშუქებისას ვერ უგულებელყოფს კონფლიქტისა და ძალადობის ფაქტებს, მაგრამ მან ფართო პლანით უნდა აჩვენოს პრობლემის ამსახველი სურათი. მედიამ თავი უნდა აარიდოს ისეთ მცდარ სტერეოტიპულ შეხედულებებს, როგორიცაა „ღირსების დანაშაული,“ რადგან ოჯახში ძალადობა დანაშაულია და არა „ოჯახის საქმე.“



მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ „სხვა პრაქტიკის“ აღმოფხვრაზე, რომელსაც კონვენციის მე-12 მუხლი ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს; კერძოდ, მედიის მიერ დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკაზე, რომლის აღმოფხვრაც ასევე კონვენციის მე-17 მუხლით დადგენილი ვალდებულებაა.

გარდა ამისა, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობაზე მასალის მომზადებისას ჟურნალისტები არ ითვალისწინებენ სავარაუდო შედეგს და ზიანს, რომელიც შეიძლება მსხვერპლს ამ მასალის შედეგად მიადგეს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა ოჯახში ძალადობის გაშუქებისას გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

1. ყურადღება გაამახვილონ არა ფაქტის დეტალურ აღწერაზე, არამედ პრობლემის სწორად დასმასა და სწორად გადაჭრის გზებზე.
2. დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნონ მსხვერპლის ვინაობა მისი წინასწარი თანხმობის გარეშე, ასევე, ისეთი მონაცემები, რომლებიც ხელს შეუწყობს მსხვერპლის იდენტიფიცირებას.
3. გამოიყენონ ენა, რომელიც დაეხმარება გენდერული სტერეოტიპების შემცირებას. ამგვარი პოლიტიკა გაზრდის ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების შემთხვევებს. თავის მხრივ, სახელმწიფომაც შეუწყოს ხელი ამ პრაქტიკის განმტკიცებას შესაბამისი ერთიანი სტანდარტის შემუშავებისათვის.
4. ძალადობის გაშუქებისას გაითვალისწინონ მასალის გამოქვეყნების სავარაუდო შედეგი, რათა შემცირდეს შესაძლო ზიანი.

კონვენციასთან ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფილი ჰარმონიზაციისათვის გარდაუვალია ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და კონვენციით გათვალისწინებული ყველა იმ ფორმის დამატება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით, რომლებიც ამ დრომდე არ ასახულა, კერძოდ: ადევნება, იძულებითი ქორწინება, ქალის გენიტალიების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია თუ სქესობრივი შევიწროება. ამიტომ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას გაითვალისწინონ ზოგიერთი ზემოაღნიშნული ფორმის ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანის მიზანშეწონილობა.

ასევე აუცილებელია მსგავსი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და რელევანტური სასჯელების განსაზღვრა ხსენებული ძალადობის შემთხვევებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეკონომიკური ძალადობისა და უგულვებლყოფის ფაქტთა კრიმინალიზებაც; ფსიქოლოგიური ძალადობის, როგორც დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის ცალკე

მუხლად გამოყოფა სისხლის სამართლის კოდექსში, მისი სრულყოფილად განმარტება და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

რაც შეეხება ცნობიერების ამაღლებას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ქალსა და მამაკაცზე ვრცელდება თანაბრად, სქესისა და რასის, კულტურული თავისებურებების, რელიგიური პრინციპებისა და განვითარების დონის მიუხედავად.

ქალები ვერ შეძლებენ საკუთარი უფლებებით სარგებლობას, თუკი არ ეცოდინებათ მათი არსებობის შესახებ. მხოლოდ ამგვარი ცოდნითა და მისი სრული გააზრებით შეძლებენ ამ უფლებების გამოყენებას. ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებებზე ინფორმირება ქალებს დაეხმარება იმის გააზრებაში, რამდენად ირღვევა ადამიანის უფლებები მათ კულტურასა და ეროვნულ კანონმდებლობაში.

ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკა ხშირად ვერ აფიქსირებს იმ უფლებათა დარღვევებს, სადაც მდებარეობთ სქესისადმი მიკუთვნება გარკვეული რისკფაქტორია (ზოგი დარღვევა გამართლებულია ბიოლოგიური განსხვავების საფუძვლით, ზოგი ეყრდნობა გენდერსა და ქალებისათვის მიკუთვნებულ სოციალურ როლებს).

ქალთა უფლებების დაცვასა და, შესაბამისად, დარღვევებზე მუშაობა დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის ქმნის შესაძლებლობას, ამოიცნონ ქალის მიმართ ძალადობის პრაქტიკა. სამოქალაქო საზოგადოებასა და ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სწორედ იმისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება ძალადობის ყველა ფორმის გამოვლინებასა და უარყოფით შედეგზე ბავშვებთან მიმართებით.

შესაბამისად:

უნდა გაგრძელდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიები ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ სუბიექტთა მონაწილეობით.

სახელმწიფომ კი ყველა სათანადო ზომა მიიღოს საზოგადოების ინფორმირებისათვის, რათა თავიდან აირიდოს ძალადობა, განსაკუთრებით, მისი უარყოფითი შედეგები ბავშვებზე.

## **2.5. მუხლი 14 - განათლება;**

### **მუხლი 15 - პროფესიონალთა ტრენინგი**

**საკანონმდებლო ანალიზი:**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან პირდაპირი შეხება აქვთ სამართალდამცველ და გამოძიების ორგანოებს (პოლიცია, პროკურატურა), სასამართლო ხელისუფლებას, ადვოკატებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ

ჯგუფს (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი), სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორში მოქმედი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების თანამშრომლებსა და სოციალურ მუშაკებს, ხოლო მოძალადეებთან – სამართალდამცველ და გამოძიების ორგანოებს (პოლიცია, პროკურატურა), სასამართლო ხელისუფლებას, ადვოკატებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის ეროვნულ ბიუროს. ოჯახური ძალადობის შემთხვევათა პრევენციის, გამოვლენისა და მსხვერპლთა შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში, კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული ორგანოების გარდა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასამთავრობო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, ფსიქოლოგებს, პედაგოგებს, ექიმებსა და ჟურნალისტებს.

### რეალური სურათი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ფსიქოლოგიური ცენტრი. იგი მოიცავს ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სოციალური მუშაკის საქმიანობათა მიმართულებებს.

მხოლოდ ამ ცენტრის არსებობა არ არის ძალადობის აღმოფხვრის გარანტია. აუცილებელია, სახელმწიფომაც გაატაროს მიზანმიმართული პოლიტიკა ოჯახური ძალადობის პრევენციისათვის, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება განათლების სისტემის რეფორმებით (სასურველია სკოლების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა ფსიქოლოგიით).

განათლების სისტემას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მიზეზეთა აღმოფხვრაში. ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად აუცილებელია მისი ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოზარდებში ცნობიერების ამაღლებას ძალადობაზე.

- აუცილებელია სამოქალაქო განათლების ფარგლებში სკოლებში მუდმივად მიმდინარეობდეს დისკუსიები ქალთა უფლებებსა და თანასწორობაზე.
- დაინერგოს მიზანმიმართული საგანმანათლებლო პროგრამები ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამოქმედდება.
- სკოლებში შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, ორიენტირებული მოზარდთა ცნობიერების ამაღლებაზე საკუთარი უფლებების შესახებ, ასევე, არამძალადობრივ ქცევაზე, კონფლიქტთა მოგვარების უნარებსა და თანასწორობაზე. სწორედ სამოქალაქო განათლების მიზანი უნდა იყოს პრევენციული ბრძოლა ძალადობისა და

არატოლერანტულობის წინააღმდეგ და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება.

- სახელმწიფომ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს ძალადობის პრევენციის სპეციალური კურსი, აქცენტით მის გამომწვევ მიზეზებსა და აღმოფხვრის გზებზე.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოზარდებზე მიმართული პროგრამები არ არის საკმარისი. აუცილებელია, ისინი ორიენტირებული იყოს მშობლებსა და პედაგოგებზეც. მათ უნდა განემარტოთ, რომ ბავშვის ფსიქიკა ზიანდება ძალადობის ფაქტზე შესწრებისას.

მასწავლებლებმა უნდა გაიარონ სპეციალური ტრენინგები, რომლებიც დაეხმარებათ არაძალადობრივი პროგრამების შემუშავებასა და სწავლების მეთოდთა გაუმჯობესებაში. შესაბამისად, განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მათთვის ამგვარი პროგრამები, შესაბამის გადამზადებასთან ერთად.

სტუდენტებთან და განათლების სხვა დონეებთან მიმართებით (პროფესიული სასწავლებლები).

უმაღლეს სასწავლებლებში სასურველია შესაბამისი პროგრამებისა და კურსის შეტანა, როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ. დღეისათვის ის მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებშია ჩართული.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-15 მუხლის მოთხოვნები ნაწილობრივ სრულდება საქართველოში, რაც გამოიხატება ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობით. ამასთან, ტრენინგები აქტიურად უტარდებათ ამ სფეროს ერთ–ერთ მთავარ აქტორებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, არცთუ ისე ხშირად – პროკურატურისა თუ სასამართლოს თანამშრომლებსა და სოციალურ მუშაკებსაც.

ზემოხსენებული მე-15 მუხლის დებულებათა სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებისა და ქვეყანაში ოჯახური ძალადობის საბოლოოდ დაძლევისათვის მიზანშეწონილია, გაგრძელდეს ტრენინგების ჩატარება შსს-ს თანამშრომელთათვის და გახშირდეს პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის.

სახელმწიფომ და არასამთავრობო სექტორმა ოჯახური ძალადობის მსოფლიო სენის აღმოსაფხვრელად პრიორიტეტად მიიჩნიოს პირველადი ტრენინგების ჩატარება შემდეგი ჯგუფებისათვის:

- სოციალური მუშაკები;
- ფსიქოთერაპევტები;
- ექიმები;

- პედაგოგები;
- ჟურნალისტები;
- ადვოკატები.

## 2.6. მუხლი 16 - პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამები

### საკანონმდებლო ანალიზი:

ოჯახში ძალადობა ორი სუბიექტის - მოძალადისა და მსხვერპლის ძალადობრივი ურთიერთობაა. სამართალდამცველი ორგანოები, ფსიქოლოგები და დაცვის ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ მსხვერპლის დაცვაზე, მის რეაბილიტაციასა და მსგავს საკითხებზე. რაც შეეხება მოძალადეს, მისი განცდები და სამართლებრივ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა შედარებით უყურადღებოდაა დარჩენილი.

კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ითვალისწინებს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნას. თუმცა, მისი მიღებიდან დღემდე, ეს პროგრამა ვერ განხორციელდა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო.

ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია, რომლის მიზანია, მოძალადის ქცევის შეცვლისა და კორექციის გზით ხელი შეუწყოს ოჯახური ღირებულებების, ასევე, ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ თუ სექსუალურ ხელშეხებლობას, ძალადობისაგან თავისუფალ ცხოვრებას.

კონცეფციით გაზიარებული მიდგომით, ოჯახში ძალადობა მიუღებელია და მოძალადეები პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე; მათ სარეაბილიტაციო პროგრამებში მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვაზე, რისი მიღწევაც შესაძლებელია ძალადობრივი ქცევის შეცვლით და ამგვარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღიარებით.

დოკუმენტის მიხედვით, მოძალადეთა სარეაბილიტაციო კონცეფციის ძირითადი ამოცანებია:

- მსხვერპლთა უსაფრთხოება და მათი უფლებების ეფექტიანი დაცვა, რისი მიღწევაც მოძალადეთა ქცევის კორექციითაა შესაძლებელი;
- პრევენციული ზომების გატარება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში;

- მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვის მექანიზმთა (სამართლებრივი) შემუშავება;
- სარეაბილიტაციო პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული კადრების მომზადება და უფლებამოსილებათა განსაზღვრა;
- არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვა.

### რეალური სურათი:

მოძალადესთან დაკავშირებული სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური ასპექტები განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო წლებში გამოვლენილი უამრავი ძალადობის ფაქტის ფონზე. მიგვაჩნია, რომ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი უნდა გახდეს მოძალადეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, მათი ცნობიერების ამაღლება და სხვა პრევენციული ზომების გამოყენება.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მოძალადე სუსტი ფსიქიკის, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანია, რომელმაც ვერ მოახერხა ჯანსაღი სოციალიზაცია, ზოგ შემთხვევებში - თვითრეალიზაციაც, და არასრულფასოვნების დაძლევისათვის ძალადობაში ეძებს თვითკმაყოფილებას და ჰიპოთეტურ დომინანტურ პოზიციას.

სტატისტიკის მიხედვით, აზიურ ქვეყნებში ფიზიკური მოძალადის როლში უმეტესად მამაკაცები გვევლინებიან. რაც შეეხება ქალებს, ისინი უფრო ფსიქოლოგიური მოძალადეები არიან, ვიდრე ფიზიკური. გარდა ამისა, მოძალადემ შესაძლოა ფსიქოლოგიურ-სექსუალურადაც იძალადოს მსხვერპლზე, რაც მიმართულია მსხვერპლის ფსიქიკისა და თვითშეფასების დათრგუნვისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ოჯახურ შემთხვევებში მოძალადე ინდივიდუალურ ხერხსა და ფორმას ირჩევს, თუმცა არსებობს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც მათ უმრავლესობას სჩვევია, კერძოდ:

- მოძალადის ზემოქმედება მსხვერპლზე იმ მიზნით, რომ არ დაუშვას კონფლიქტში სამართალდამცველი ორგანოების ჩარევა;
- მოძალადე ირგებს მსხვერპლის როლს და თავს წარმოაჩენს იმგვარად, თითქოს ძალადობა, რომელიც ჩაიდინა, გამოწვეული იყო მისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით;
- მოძალადე იყენებს ძალადობის სხვადასხვა ფორმას: შეშინება, მანიპულირება, თავისუფლების აღკვეთა და იზოლაცია,

საკვების მიწოდების შეზღუდვა, არასრულწლოვანზე ძალადობა.

რთულია სურათი არასრულწლოვნებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, უშუალოდ ხორციელდება თუ არა ძალადობა არასრულწლოვანზე, ის მაინც ითვლება მსხვერპლად, ვინაიდან ოჯახის წევრთა კონფლიქტი და მტრული გარემო მავნე გავლენას ახდენს მასზე. მომავალში ასეთი ბავშვი ყალიბდება აგრესორად და კონფლიქტურ ადამიანად. გარდა ამისა, არცთუ იშვიათად, ოჯახში ძალადობა ხორციელდება უშუალოდ არასრულწლოვანზეც. ამის მიზეზი შესაძლოა გახდეს სხვადასხვა გარემოება, მაგალითად, მისი დაუმორჩილებლობა ან უდისციპლინობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალადობის გამართლება არასრულწლოვნის მიმართ კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან იგი ამით სწავლობს ძალადობრივ დამოკიდებულებასა და ქცევებს, რაც მოგვიანებით მისი ცხოვრების ნორმა ხდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოძალადეთა რეაბილიტაციის პროცესში გასათვალისწინებელია ჩამოთვლილი ფაქტორები. ასევე, უნდა დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისაკენ, ვინაიდან მთავარ გამოწვევად რჩება სარეაბილიტაციო პროგრამათა ინსტიტუციონალიზაცია.

ამისათვის აუცილებელია განისაზღვროს, სად და რომელი უწყების ფარგლებში უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამები და ვინ იქნება პასუხისმგებელი თითოეული კომპონენტის შესრულებაზე.

გარდა ამისა, მოძალადის სარეაბილიტაციო ღონისძიებებს სავალდებულო სახე უნდა მიეცეს. ნებაყოფლობითი პროგრამების განხორციელებას არაპრაქტიკულად და არაეფექტიანად მივიჩნევთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამგვარი სარეაბილიტაციო ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერის საკითხი და მისი გადაჭრა. ფინანსური უზრუნველყოფის მოძალადეთათვის დაკისრება ვერ ჩაითვლება პრობლემის მოგვარებაზე მიმართულ ნაბიჯად ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და დასაქმების ნაკლები ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ეს პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა იტვირთოს.

## **2.7. მუხლი 18 - დაცვა და მხარდაჭერა, ზოგადი**

**ვალდებულებანი;**

**მუხლი 20 - ზოგადი მხარდამჭერი მომსახურება;**

**მუხლი 21 - დახმარება ინდივიდუალური/კოლექტიური სარჩელების შედგენაში;**

**მუხლი 22- დამხმარე მომსახურება სპეციალისტთა მხრიდან;**  
**მუხლი 53 - შემზღვეველი ან დამცავი განკარგულებები**

**საკანონმდებლო ანალიზი:**

ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მოწესრიგება დაიწყო 2006 წლის კანონით, რომელიც განსაზღვრავს მსხვერპლის ცნებას. ამ განსაზღვრების მიხედვით, მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან მსხვერპლთა იდენტიფიცირების ჯგუფმა. ამ კანონის საფუძველზე განვითარდა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების რიგი მექანიზმები.

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში 126 პრიმა მუხლის მიღება, რომლითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია - სახელმწიფომ აღიარა, რომ ამგვარი ძალადობა არ არის კერძო, პრივატული ქმედება და ის უნდა გამოცხადდეს დანაშაულად, რომელიც სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

აღნიშნული კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

- სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ ფაქტების შემთხვევაში, რომლებიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და ითვალისწინებს ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის გზით მოძალადისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- სამოქალაქო-სამართლებრივ მექანიზმებს მიმართავენ ოჯახში ძალადობის შედეგად მსხვერპლთათვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურებისას;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ან დამცავი ორდერების გამოცემისას. ეს ორდერები ძირითადად იმ შემთხვევებში გამოიცემა, როცა სამართალდარღვევა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ამგვარი ძალადობის აღკვეთა



შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

დამცავი და შემაკავებელი ორდერები ოჯახში ძალადობის აღკვეთისაკენ მიმართული დროებითი ზომია, რომელიც განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს და მოძალადეს გარკვეულ მოქმედებებზე შეზღუდვებს უწყესებს.

შემაკავებელი ორდერი პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას. მოქმედების ვადა შესაძლოა იყოს 1 თვე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია საკითხთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეიძლება ითვალისწინებდეს შემაკავებელი ორდერი. ძალადობის ფაქტის სიმძიმიდან გამომდინარე, პოლიციელმა შეიძლება გამოიყენოს ერთ-ერთი ან რამდენიმე:

ა) მოძალადის მოშორება იმ სახლისგან, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მესაკუთრეა თუ არა;

ბ) მოძალადისაგან მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის გარიდება და თავშესაფარში მოთავსება;

გ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;

დ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევება;

ე) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოება;

ვ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, მისი შეძენის, შექმნაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობების განსაზღვრა;

ზ) გაფრთხილება ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესახებ;

დამცავი ორდერი – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომელიც განსაზღვრავს მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებს. მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს ან, მისი

თანხმობით, პირს, რომელიც უწევს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

სასამართლო მიმართვიდან 10 დღის ვადაში განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის საკითხს. სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების პროცედურა ორდერის მოქმედებას არ აჩერებს.

დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ საკითხებს:

- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვა;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდება და თავშესაფარში მოთავსება;
- გ) მოძალადის ვალდებულება — არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;
- დ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- ე) მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევება, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირება;
- ვ) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება მოძალადის მიახლოება;
- ზ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, მისი შეძენის, შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობების განსაზღვრა;
- თ) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურება;
- ი) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსება, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებები და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობა;
- კ) გაფრთხილება ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ;
- ლ) სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის. კერძოდ, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ

სამუშაოებს 1 თვემდე. ხოლო დამცავი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს 3 თვემდე (მუხლი 175<sup>2</sup>). გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს ენიჭებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება. ასევე აღსანიშნავია, რომ კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვისას შესაბამის პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით მიიყვანოს შინაგან საქმეთა ორგანომ.

ამ საკანონმდებლო დოკუმენტების გარდა, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით, 2006 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება. ფონდის ერთ-ერთი ფუნქცია (კერძოდ, 2010 წლიდან) გახლავთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება, თავშესაფრებით უზრუნველყოფა და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება.

გარდა ამისა, 2006 წლიდან შექმნილია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭო, რომელთანაც ფუნქციონირებს მსხვერპლთა იდენტიფიცირების ჯგუფი. ამ ჯგუფის მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება მსხვერპლს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს კონვენციის 18.4. მუხლით მინიჭებული უფლებით და მსხვერპლის მომსახურება და დაცვა არ იყოს დამოკიდებული მის თანამშრომლობაზე სამართალდამცველ ორგანოებთან.

### **რეალური სურათი:**

მიუხედავად ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ჩამონათვალისა, რითაც მოწესრიგებულია მსხვერპლთა დაცვა, პრაქტიკაში იკვეთება არაერთი პრობლემური საკითხი, რომლებიც ასევე ხაზგასმულია სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, დასმული ამ ანგარიშის მიხედვით, არის სამართალდამცველთა სფეროში არსებული პრობლემები. მათი ნაკლები ინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრობლემას ქმნის მსხვერპლთა სრულფასოვანი დაცვისა და დახმარებისათვის. სამართალდამცველები განასხვავებენ ორ ცნებას: ოჯახში ძალადობას და ოჯახში კონფლიქტს. ხშირად ისინი ვერ ახერხებენ ამ ორი საკითხის

ობიექტური კრიტერიუმებით გამიჯვნას, საკუთარი შეხედულებით წყვეტენ, ოჯახში ძალადობასთან აქვთ საქმე თუ კონფლიქტთან და შესაბამისად რეაგირებენ. ამასთანავე, პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ სამართალდამცველთა აზრით, ერთჯერადი კონფლიქტი არ მიიჩნევა ძალადობად და ფაქტი რამდენჯერმე უნდა განმეორდეს.

გავრცელებული თეორიის მიხედვით, არსებობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შემდეგი კლასიფიკაცია, რისი ცოდნაც აუცილებელია და შემდგომში მნიშვნელოვანი იქნებოდა სამართალდამცველთათვის მსხვერპლთან ურთიერთობისას:

მსხვერპლი - გამოუცდელი (ძირითადად გარდატეხის ასაკში, გამოუცდელობის გამო შესაძლებელია მოძალადის პროვოცირება გამოიწვიოს);

მსხვერპლი - მოხუცი (ასაკიდან გამომდინარე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების გამო განიცდის ძალადობას ოჯახის წევრთა მხრიდან);

მსხვერპლი - ქალი (მსხვერპლი ხდება ძირითადად ფიზიკური სისუსტის გამო);

მსხვერპლი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ ნარკომანებსა და ალკოჰოლის მოყვარულებსაც. მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა მოძალადისათვის და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობების გამო);

მსხვერპლი - უცხოელი ან ემიგრანტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხდება ადგილობრივი კანონების უცოდინრობის გამო. მოძალადე ხშირად ატყუებს მას, მანიპულირებს ბავშვებით და მათი დაკარგვის შიშით მსხვერპლი ვერ მიმართავს სამართალდამცველ ორგანოებს);

მსხვერპლი - დეპრესიული პირი (დარღვეული აქვს თავის დაცვის ინსტინქტი, რის გამოც ხშირად ხდება ძალადობის მსხვერპლი);

მსხვერპლი - ტირანი (შეიძლება მასზე იძალადოს მეუღლემ ან პარტნიორმა, რომელიც ვეღარ იტანს აგრესიას და მოძალადე თვითონ აღმოჩნდეს მსხვერპლის როლში).

ჩამოთვლილი ფსიქოლოგიური ტიპების ცოდნა ხელს შეუწყობს სამართალდამცველ ორგანოთა მუშაობას და მსხვერპლის იდენტიფიცირებისას შეცდომებს შეძლებისდაგვარად შეამცირებს.

გარდა ამისა, პრობლემებს ქმნის სამართალდამცველთა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ. ხშირ შემთხვევაში ისინი მსხვერპლის მიმართ გულგრილობას იჩენენ და არცთუ იშვიათად მას მოძალადესთან შერიგებას ურჩევენ, ნაცვლად ურთიერთობის სამართლებრივი გზებით მოგვარებისა.

ზემოაღნიშნული ინფორმირებულობის დაბალი დონიდან გამომდინარე, ზოგჯერ პოლიცია განმეორებითი ძალადობის შემთხვევებშიც ხელწერილს იყენებს, შემაკავებელი ორდერების ნაცვლად. ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ხან ცინიკურ დამოკიდებულებასაც ავლენენ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა ნაკლებად იციან ძალადობის მსხვერპლთა ინტერვიუების ტექნიკა.

შემაკავებელი ორდერების გაცემასთან ერთად, პრობლემატურია მათი პირობების შესრულებაზე მონიტორინგიც.

მსხვერპლის სრულფასოვანი დაცვისა და დახმარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებაა ძალადობის ფაქტის განუცხადებლობა მსხვერპლის მხრიდან - ზოგჯერ კი უარყოფაც სამართალდამცველთა წინაშე - რის შემდეგაც პოლიციის წარმომადგენლები შემთხვევის ადგილს რეაგირების გარეშე ტოვებენ.

## 2.8. მუხლი 19 - ინფორმაცია

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის მე-19 მუხლით საქართველომ აიღო ვალდებულება საკანონმდებლო და სხვა აუცილებელი ზომების გატარების შესახებ, რათა დაზარალებულმა/მსხვერპლმა მისთვის გასაგებ ენაზე, დროულად მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის მოქმედ დაწესებულებებზე, ასევე, არსებულ სამართლებრივ ბერკეტებზე.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 17<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები – დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამომცემი ორგანოები, მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო – საგამოძიებო ორგანოები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორი ვალდებული არიან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ/დაზარალებულთ მათთვის გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით გააცნონ ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი თუ სოციალური დაცვისა და დახმარების მექანიზმებსა და შესაბამისი მომსახურების სახეებზე.

### რეალური სურათი:

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მომსახურების ორგანიზაციები საჭიროების შემთხვევაში ასეთ პირებს შესაბამის ინფორმაციას აწვდიან და სათანადო დახმარებასაც უწევენ განცხადებისა თუ სარჩელის შედგენაში, როგორც ოჯახში ძალადობასთან, ისე მის შედეგად მიყენებული

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; ასევე, ეხმარებიან შესაბამის სამართალწარმოებაშიც.

ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოში საკანონმდებლო დონეზეა დარეგულირებული, რომ დაზარალებულს/მსხვერპლს მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულებებსა და არსებულ სამართლებრივ ბერკეტებზე.

ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა (<http://www.atipfund.gov.ge>) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (<http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>) ვებგვერდებზე ნებისმიერ პირს შეუძლია ვრცელი ინფორმაციის მიღება ოჯახური ძალადობის საკითხებზე.

კონვენციის მე-19 მუხლის დებულებათა სრულად ასახვისათვის, ვფიქრობთ, ვებგვერდებზე (<http://www.atipfund.gov.ge> და <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>) განთავსდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების სრული ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთ ემსახურებიან, ასევე, მათი სერვისები და ელექტრონული, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართები.

## **2.9. მუხლი 23 - თავშესაფრები;**

**მუხლი 24 - სატელეფონო დახმარების ხაზები;**

**მუხლი 25 - სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა დახმარება;**

**მუხლი 57- იურიდიული დახმარება**

**საკანონმდებლო ანალიზი:**

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს მსხვერპლთა დაცვის ისეთი მექანიზმის შექმნას, როგორცაა თავშესაფარი. მოგვიანებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულებით ჩამოყალიბდა თავშესაფრით სარგებლობისა და თავშესაფრის ფუნქციონირების სტანდარტები. ამ დოკუმენტში აღნიშნულია:

მუხლი 9. თავშესაფრის ადმინისტრაციის ვალდებულებები (თავშესაფრის მომსახურებები/სერვისები):

1. თავშესაფრის ადმინისტრაცია თავშესაფრის მკვიდრთ და მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)ს უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო მომსახურებით:

- ა) ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი;
- ბ) საკვები და ტანსაცმლი;
- გ) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და შესაბამისი ბაზისური მედიკამენტებით მკურნალობა;
- გ) ფსიქოლოგიური დახმარება (ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპია);
- დ) იურიდიული დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობა;
- ე) მკვიდრთათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურება;
- ვ) რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობა (ხელშეწყობა პროფესიულ სწავლებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში, დასაქმებაში).

2. თავშესაფარში გათვალისწინებულია ბავშვის აღზრდისა და კვების სპეციფიკა და თავისებურებანი.

3. ადმინისტრაცია ვალდებულია, დაიცვას თავშესაფარში არსებული პერსონალური მონაცემების (ინფორმაციის) შემცველი საბუთების კონფიდენციალობა.

#### მუხლი 7. თავშესაფრის მოწყობა

1. თავშესაფარში მკვიდრთათვის განკუთვნილია:

- ა) საცხოვრებელი ოთახი, აუცილებელი აღჭურვილობით (საწოლები, ტანსაცმლის კარადა, ტუმბო...);
- ბ) სამზარეულო, შესაფერისი აღჭურვილობით, სადაც ყოველდღე იქნება ძირითადი კერძებისგან შემდგარი სადილი, თავშესაფრის მკვიდრთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
- გ) საერთო ოთახი (დასვენების, განტვირთვის, ურთიერთობისა და თამაშისთვის...) თავისუფალი დროის გასატარებლად;
- დ) ექთნის ოთახი, შესაფერისი აღჭურვილობით;
- ე) სველი წერტილები: აბაზანა ან/და საშხაპე-ტუალეტი, სამრეცხაო, საშრობი.

მუხლი 11. მკვიდრის პირადი საჭიროებების უზრუნველყოფა თავშესაფარში

1. თავშესაფარში მკვიდრისთვის უზრუნველყოფილია:
  - ა) ტანსაცმელი;
  - ბ) პირსახოცი და ხელსახოცი;
  - ც) ბაზისური მედიკამენტები;
  - დ) საპონი, შამპუნი, კბილის ჯაგრისი, სხვა პირველადი საჭიროების ჰიგიენური საშუალებები.
2. მკვიდრს უფლება აქვს, აცნობოს ადმინისტრაციას სხვა სპეციალურ საჭიროებებზე მოთხოვნა. სპეციალურ საჭიროებებს თავშესაფრის ადმინისტრაცია დააკმაყოფილებს ადეკვატურობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე.

მუხლი 12. კვება თავშესაფარში

1. თავშესაფრის მკვიდრს უფლება აქვს, მიიღოს მისთვის გამოყოფილი საჭმელი, მომზადებული წინასწარ შემუშავებული მენიუს შესაბამისად.
2. კვება უზრუნველყოფილია თავშესაფრის მხრიდან და წარმოდგენილია დღეში სამჯერადი კვების სისტემით (საუზმე, სადილი, ვახშამი);
3. საჭმელი მზადდება თავშესაფრის სასადილოში ყოველდღიურად;
4. გამზადებული საჭმელი უნდა ინახებოდეს მხოლოდ სამზარეულოში;
5. კვება გათვალისწინებულია მხოლოდ სამზარეულოში/სასადილო ოთახში;
6. მკვიდრს უფლება აქვს, თვითონ მოამზადოს საჭმელი. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად თვითონვე უნდა მოაწესრიგოს (გასუფთავება-დალაგება) სამზარეულო საჭმლის მომზადების შემდეგ;
7. მკვიდრმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს თავშესაფრის ადმინისტრაცია, თუკი იმყოფება სპეციალურ დიეტაზე, ან ალერგიულია.

მუხლი 13. იურისტის/ადვოკატის მომსახურება თავშესაფარში

1. მკვიდრის ნება-სურვილზე და მოკიდებული იურისტის/ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა. სამართლებრივი მომსახურება მკვიდრს გაეწევა უსასყიდლოდ. მას უფლება აქვს, ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით:
  - ა) ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაცია;
  - ბ) სასამართლო წარმომადგენლობა/ადვოკატირება. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - დამცავი ორდერის მიღება;
    - განქორწინება;



- ალიმენტი;
- ქორწინებასთან დაკავშირებული ქონებრივი დავები.

#### მუხლი 14. ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება

1. თავშესაფარი უზრუნველყოფს მკვიდრთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციასა და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მკვიდრს უფლება აქვს, ისარგებლოს აღნიშნული მომსახურებით.

2. ფსიქოლოგიური მომსახურება მოიცავს:

- ა) ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფსიქოლოგიურ კონსულტაციას;
- ბ) კრიზისულ ინტერვენციას, ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას;
- გ) ოჯახში ძალადობის, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებას;
- დ) დახმარებას სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში, ასევე, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში;
- ე) ჯგუფურ რეაბილიტაციას კვირაში ან 10 დღეში ერთხელ.
- ვ) თავშესაფრის მკვიდრ ბავშვთა ფსიქოლოგიურ მომსახურებას (ინდივიდუალურსა და ჯგუფურს).

2. სამედიცინო მომსახურება მოიცავს:

- ა) თავშესაფრის მკვიდრის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო დახმარების საჭიროების დადგენას, პირველად სამედიცინო შემოწმებას;
- ბ) სასწრაფო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;
- გ) მკვიდრთა ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

3. ნებისმიერი ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის დაფიქსირებისას თავშესაფრის ადმინისტრატორი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს.

#### მუხლი 15. სოციალური მომსახურება

1. თავშესაფრის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მკვიდრს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში, რაც მოიცავს:

- ა) სოციალური დახმარების სფეროში არსებულ რესურსებზე ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციით მკვიდრის უზრუნველყოფას;
- ბ) მკვიდრის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამსახურსა თუ სპეციალისტთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას;
- გ) განათლების მიღების შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიწოდებას;

- დ) საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში და გარემოებათა გათვალისწინებით, მკვიდრის ოჯახში ვიზიტებს (ვითარების შესწავლა ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან);  
 ე) დასაქმებაში ხელშეწყობას.

### რეალური სურათი:

თავშესაფრების ისტორია იწყება 2002 წლიდან, როცა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ დაფუძნდა პირველი თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. მოგვიანებით, თავშესაფრები გახსნა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და სახელმწიფო ფონდმა.

ზემოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო მიმოხილვა ადასტურებს, რომ თავშესაფრებით მომსახურება მიმართულია მსხვერპლის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნისაკენ. აღსანიშნავია მჭიდრო რეფერირების ინსტიტუტის ჩამოყალიბებაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. თავშესაფართა ქსელი ამჟამად მოიცავს თავშესაფრებს თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხესა და კახეთში. იგეგმება მისი გაფართოებაც.

გარკვეული პრობლემები შეიქმნა თავშესაფარში ბენეფიციართა მიღებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობისა და თავშესაფართა შინაგანაწესის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა, იძულება ან უგულებელყოფა და მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა შსს-ს შესაბამისმა სამსახურმა (შემაკავებელი ორდერის გამოცემით), სასამართლომ (დამცავი ორდერის გაცემით) ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. 2014 წლის 1 აპრილიდან შეჩერდა მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მუშაობა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ პირები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო არ შეეძლოთ პოლიციისა და სასამართლოსათვის მიმართვა, ფაქტობრივად დარჩნენ სტატუსის მოპოვების ალტერნატიული მექანიზმისა და თავშესაფარში განთავსების შესაძლებლობის გარეშე. მოგვიანებით, სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდა, თუმცა, მსგავსი პრაქტიკის განმეორების რისკი არ გამოირიცხება. შესაბამისად, მსხვერპლთათვის ეს აუცილებლად შექმნის გარკვეულ ბარიერებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის შევსების პროცედურა პრაქტიკულად დარღვეულია. მას ავსებს სხვადასხვა პირი (სოციალური მუშაკი), რომელთაც არ გაუვლიათ შესაბამისი წვრთნა, ამიტომ ზოგჯერ კითხვარი არასრულფასოვნადაა შევსებული, რაც ასევე დამატებითი დაბრკოლებაა მსხვერპლის სტატუსის მინიჭებისას.

აუცილებელია არსებობდეს მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც გამართულად იფუნქციონირებს.

კრიტიკულია დამოკიდებულება თავშესაფარში ყოფნის ვადებთან დაკავშირებით. კანონმდებლობის თანახმად, თავშესაფარში ყოფნის ვადა განსაზღვრულია 3 თვით და არასაკმარისად მიიჩნევა მსხვერპლის სრულფასოვანი ფსიქორეაბილიტაციისათვის. ძალადობრივ გარემოში მსხვერპლთა ხანგრძლივად ცხოვრება მათ უმრავლესობას უქმნის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა პრობლემებს, შესაბამისად, რეაბილიტაციას სჭირდება გარკვეული დრო. ამასთანავე, თავშესაფრით სარგებლობის პრობლემა დგას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლეს შემთხვევებში, გამომდინარე იქედან, რომ მათ არ აქვთ ალტერნატიული საცხოვრებელი, სამსახური და ჰყავთ მათზე დამოკიდებული მცირეწლოვანი შვილები. შესაბამისად, მსხვერპლს ხშირად უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება და ალტერნატივა მოძალადე ოჯახში დაბრუნებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური შემთხვევების გათვალისწინებით, არსებობს თავშესაფარში ყოფნის ვადის გაგრძელების პრაქტიკა.

ბუნებრივია, თავშესაფარი დროებითი საცხოვრებელი ადგილია და მსხვერპლი მუდმივად ვერ იცხოვრებს იქ, თუმცა შესაძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა ორი ძირითადი მიმართულებით:

- ა) გადაიხედოს თავშესაფარში განთავსების ვადის ხანგრძლივობა;
- ბ) გაძლიერდეს მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამები.

2010 წლიდან ფუნქციონირებს 24/7 ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. ეს სერვისი თანდათან უფრო იხვეწება და ოჯახში ძალადობის პოტენციურ თუ რეალურ მსხვერპლს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს კონსულტაციით, უფასო სამართლებრივი დახმარებით, სასამართლო წარმომადგენლობით, დოკუმენტების შედგენის იურიდიული მომსახურებით და ა.შ.

რაც შეეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მანდატი გაფართოვდა და დაევალა ამ კატეგორიის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმთა შემუშავება და განხორციელება.

## 2.10 მუხლი 26 - ძალადობის მოწმე ბავშვების დაცვა და დახმარება

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის 26-ე მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომების მიღებას, რათა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებისას სათანადო ყურადღება მიექცეს ძალადობის ყველა ფორმის მოწმე არასრულწლოვანთა უფლებებსა და საჭიროებებს. ეს საკითხი უნდა მოიცავდეს ასაკისათვის შესაფერის ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს მოწმე ბავშვებისთვის და აუცილებლად ითვალისწინებდეს არასრულწლოვნის სასიცოცხლო ინტერესებს.

ოჯახში ძალადობას ბავშვებისა და მოზარდებისთვის შეიძლება მრავალი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს (მაგალითად, უზრუნველყოფის სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას, იწვევს ქცევით და ემოციურ პრობლემებს). ამავდროულად, იქმნება საფრთხე, რომ ბავშვი თვითონაც შეიძლება გახდეს ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი, ან მოძალადემ გამოიყენოს მსხვერპლის გასაკონტროლებლად, რაც არასრულწლოვანში დანაშაულის გრძნობას გამოიწვევს. ბავშვებმა შეიძლება ისწავლონ ძალადობრივი დამოკიდებულება და ეს მათთვის ქცევის ნორმადაც ჩამოყალიბდეს. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ძალადობის ყველა ფორმის მოწმე ბავშვთა სათანადო დაცვა და დახმარება.

ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკურ ღონისძიებებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. იგი გულისხმობს არასრულწლოვნის განცალკევებას მოძალადე მშობლის/მშობლებისგან და მის დაცვას მოტაცებისა თუ სხვა საფრთხისაგან.

აღნიშნული კანონის თანახმად, ოჯახურ დანაშაულსა და ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის დაკითხვისას, გათვალისწინებული უნდა იქნას არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. დაუშვებელია: ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის, ანდა დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად სავარაუდო მოძალადის ან იმ პირის ჩართვა, რომლის მიუკერძოებულობასთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი (ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე,

ანდა ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში); ასევე, მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა.

ამავდროულად, საქართველოში მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ასევე ადგენს, რომ დაუშვებელია: ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის, ანდა დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; ასეთ სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად სავარაუდო მოძალადის ან იმ პირის ჩართვა, რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი (ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ანდა ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში); აგრეთვე მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა და გადაცემა.

ასევე საყურადღებოა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურათა დამტკიცებაზე, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და ამ ფაქტზე სათანადო რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამედიცინო, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მის უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე, სხვა შესაბამის სუბიექტებს, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში.

### **რეალური სურათი:**

ბავშვის უფლებათა კონვენციით განმტკიცებულია არასრულწლოვნის უფლება, იზრდებოდეს სრულფასოვან ოჯახში: მისი ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია ოჯახურ გარემოში ყოფნა განვითარების ნებისმიერ პერიოდში (ჩვილობა, ადრეული ბავშვობა, საშუალო ბავშვობა და მოზარდობა). თითოეული ფაზა - გამომდინარე იქიდან, რომ უკავშირდება სიახლეებსა და თვითრეალიზაციას, ასევე, გარკვეულ ფიზიკურ ცვლილებებს - თავისებურებებით ხასიათდება. ზოგჯერ მოზარდი კრიტიკულია, რის საფუძველზეც შესაძლოა დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორები მისთვის ოჯახის წევრებისაგანაც შეიქმნას და, საბოლოოდ, ეს ოჯახში ძალადობით დასრულდეს.

არასრულწლოვანთან მიმართებით ოჯახში ძალადობის პრობლემა ორგვარად ვლინდება: ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანი მსხვერპლია, მეორეში კი - მოძალადე.

კვლევების თანახმად, ოჯახური ძალადობის გარემოში აღზრდილ არასრულწლოვნებს სხვადასხვა ტიპის პრობლემები აქვთ: მეტყველების, სმენის, განვითარების, განათლებასთან დაკავშირებული. ისინი ჩაკეტილები და დათრგუნულები არიან, მიდრეკილნი ალკოჰოლისა ან ნარკოტიკისადმი, და ავლენენ მოძალადის თვისებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის გავლენა არასრულწლოვანზე ცალსახად უარყოფითია და საბოლოოდ გამოიხატება როგორც ფსიქოტრავმის, ისე დანაშაულებრივი ქცევის სახით, ან მათი ერთობლიობით. დროთა განმავლობაში უვითარდებათ შიში, განცდების გამოხატვის უუნარობა, მშობელთა კონფლიქტში ჩაბმის მოთხოვნილება, გაორებული გრძნობები და სხვა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ოჯახში ძალადობისას განსაკუთრებით საყურადღებოა არასრულწლოვანთა დაცვის სპეციალური სისტემის შექმნა. ასევე, კვლევების თანახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევათა 70 %-ში არასრულწლოვანზე ძალადობა ხდება როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ - მშობელსა ან ოჯახის სხვა წევრზე ძალადობის მოწმეობით.

მშობლის მიერ არასრულწლოვანზე ძალადობისას რეაგირების ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება ჩავთვალოთ მოძალადე მშობლისგან არასრულწლოვნის განცალკევება.

სასურველია, შემუშავდეს და დაინერგოს სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამები, რაშიც ჩაერთვებიან პედაგოგებიც; სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები კონფლიქტთა მშვიდობიანი მოგვარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად. ამასთანავე, საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს ოჯახში ძალადობის უარყოფითი გავლენა ბავშვზე.

შემამფოთებელია სტატისტიკა არასრულწლოვნებთან მიმართებით. სხვა მუხლებთან დაკავშირებული სტატისტიკის განხილვაზე შეგნებულად შევიკავეთ თავი, თუმცა ამ კონკრეტულ ასპექტში სტატისტიკური სურათი აუცილებლად იმსახურებს გარკვეულ ანალიზს. შსს-ს მონაცემების მიხედვით, 2013 წლიდან დღემდე დაფიქსირებულია ოჯახში ძალადობის 2362 შემთხვევა, რომელთაგანაც 1634-ზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევით („ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“) შესწავლილია ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა. მთელი ქვეყნის მასშტაბით 3284 ოჯახში გამოიკითხა 3345 ადამიანი, ხოლო თბილისში, ქუთაისსა და თელავში ჩატარდა ჯგუფური დისკუსიები აღნიშნულ საკითხებზე.

კვლევით გამოვლინდა, რომ მოსახლეობის 80% ოჯახში ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას პრობლემად მიიჩნევს, თუმცა 60% ფიქრობს, რომ ძალადობრივ ქმედებათა აღზრდის მეთოდებად გამოყენება უფრო ეფექტიანია.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ საზოგადოების 63 %-ის აზრით, ბავშვი მშობლებს ეკუთვნით და შეუძლიათ მიიღონ არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

## 2.11 მუხლი 27 - შეტყობინება;

### მუხლი 28 - შეტყობინება პროფესიონალთა მხრიდან

**საკანონმდებლო ანალიზი და რეალური სურათი:**

იმისათვის, რომ შესრულდეს კონვენციის ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება (კერძოდ, „მხარეებმა მიიღონ საჭირო ზომები ნებისმიერი ადამიანის წასახალისებლად, მისცეს ჩვენება კომისიას ამ კონვენციის კომპეტენციით მოცულ ძალადობის აქტებზე, ან/და ადამიანმა, რომელსაც აქვს დასაბუთებული საფუძველი, სჯეროდეს, რომ ასეთ აქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ან მოსალოდნელია ძალადობის შემდგომი აქტები, შეატყობინოს ამის შესახებ კომპეტენტურ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას,“) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. ოჯახში ძალადობას არ უნდა მივიჩნევდეთ „ოჯახის საქმედ“. ხშირად მსხვერპლი ან მისი ახლობლები ერიდებიან შესაბამის უწყებასთან დაკავშირებას და ძალადობას ან ასეთ მოსალოდნელ ფაქტზე ინფორმირებას. საზოგადოებამ უნდა გაანალიზოს, რომ საჭიროა, კომპეტენტურ ორგანიზაციებსა ან სახელმწიფოს დროულად ეცნობოს ძალადობის შესახებ, რათა დროულადვე მიიღონ შესაბამისი ზომები, ან სულაც აირიდონ ძალადობის აქტი. დანაშაულის შეუტყობინებლობის შედეგია მისი დაფარვა, დამნაშავის დაუსჯელობა და რიგი კანონების დარღვევა. რაც შეეხება შეტყობინებას პროფესიონალთა მხრიდან, „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რომ კონფიდენციალობის დაცვის წესებმა, რომლებსაც ქვეყნის შიდა კანონები უწესებს ზოგიერთ პროფესიონალს, ხელი არ შეუშალოს მათ, შესაბამისი გარემოებების ქვეშ, შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანიზაციებს ან ხელისუფლებას, როცა მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვები ვარაუდისათვის, რომ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის სერიოზული აქტი იქნა ჩადენილი და მოსალოდნელია ძალადობის შემდგომი სერიოზული აქტებიც.“

ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა: „ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, ამ კანონით დადგენილი წესით ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი.“

ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულების, არასრულწლოვნის შემთხვევაში – ასევე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.“

აქედან გამომდინარე, ამ პროფესიის პირთა მოვალეობაში შედის შესაბამისი ორგანიზაციებისა ან ხელისუფლებისათვის შეტყობინება ძალადობის აქტის შესახებ. ეს მათი ვალდებულებაა, პროფესიონალური საქმის შესრულების მსგავსად. სავარაუდოდ, საჭიროა მათი სრულყოფილი გადამზადება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება: როგორ უნდა მოიქცნენ, როდესაც შეიტყობენ ძალადობის აქტის შესახებ, ან როცა მოსალოდნელია მისი ჩადენა.

## 2.12 მუხლი 30 - კომპენსაცია

### საკანონმდებლო რეგულირება და რეალური სურათი:

კონვენციის ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, დამნაშავისაგან მოითხოვოს კომპენსაცია კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურათა შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს მატერიალური, მორალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის იმპლემენტაცია არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ დამატებით პროცედურებს.

პრობლემატურია მუხლის მეორე ნაწილის ჩანაწერი, როცა ადეკვატური სახელმწიფო კომპენსაცია უნდა გადაეცეს მსხვერპლს, რომელსაც ვერ აუნაზღაურდა ზიანი მოძალადის მხრიდან, დაზღვევით ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო და სოციალური დახმარებით.

ამ ნორმის განხორციელებისათვის აუცილებელია რამდენიმე პროცედურის შემუშავება:

(1) კომპენსაციის გაცემის მკაფიო კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რა შემთხვევაში შეუძლია მსხვერპლს კომპენსაციის მოთხოვნა სახელმწიფოსაგან და როდის ვერ ისარგებლებს ამ უფლებით.

(2) კომპენსაციისა და მისი გაცემის ოდენობის განსაზღვრა. აუცილებელია, მკაფიოდ დადგინდეს, რამდენჯერ და რა ოდენობის თანხა უნდა გაიცეს. ჩვენი აზრით, კომპენსაციის ოდენობა სტანდარტულად უნდა განისაზღვროს და არ გამოითვლებოდეს თითოეული კონკრეტული საქმის მიხედვით, რაც შეიძლება დაუკავშირდეს უფრო დიდ რისკს (მაგ: კორუფციას).

(3) სახელმწიფო ბიუჯეტში საკომპენსაციო თანხის მობილიზება



მსხვერპლთა რიცხვის, კომპენსაციის გაცემის კრიტერიუმების და მისი ოდენობის გათვალისწინებით.

## 2.13 მუხლი 31 - მეურვეობა, მონახულების უფლებები და უსაფრთხოება

**საკანონმდებლო ანალიზი და რეალური სურათი:**

კონვენციის 31-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები, რათა განისაზღვროს ბავშვთა მონახულებისა და მეურვეობის უფლებები, დაზარალებულის ან არასრულწლოვნის უსაფრთხოებისთვის.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-15 მუხლების შესაბამისად: სასამართლო განიხილავს მოძალადე მშობლის ურთიერთობის საკითხს არასრულწლოვანთან. არასრულწლოვანზე ძალადობის კვალის არსებობისას შეიძლება მოძალადე მშობლისაგან მისი განცალკევება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, რათა თავიდან აიცილონ არასრულწლოვანზე ძალადობის აქტის გამეორება. არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია, საქმეში ჩართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოძალადე მშობელს შეიძლება მიეცეს არასრულწლოვანის მონახულების უფლება, თუ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა. „ყველა ზომაში“ მოიაზრება მონახულების ადგილი, დრო, ხანგრძლივობა და პერიოდულობა, ასევე, პირი, რომელიც ვალდებულია, არასრულწლოვნის უსაფრთხოება დაიცვას. მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან სხვა ზიანის მიყენების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, ბავშვის მონახულება აუკრძალოს მას.

თუ მშობელს მშობლის უფლება ჩამოართვა სასამართლომ, სასამართლო წყვეტს მშობლის მიერ შვილის მონახულების მიზანშეწონილობას და პერიოდულობას. შესაბამისად, შეიძლება აუკრძალოს კიდევ ნახვა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასათვალისწინებელია არასრულწლოვნის აზრიც, ვისთან სურს ყოფნა - რომელიმე ნათესავთან თუ ოჯახის ახლობელთან, ცხადია, თუკი საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდება.

## 2.14 მუხლი 32 - იძულებითი ქორწინების სამოქალაქო შედეგები;

### მუხლი 37 - იძულებითი ქორწინება

#### საკანონმდებლო ანალიზი:

საქართველოს კონსტიტუციის 36.1 მუხლის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალ სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლის თანახმად, დაქორწინებისათვის აუცილებელია: ა) საქორწინო ასაკი; და ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. შესაბამისად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაადგინოს სრულწლოვანების ასაკი და არ დაუშვას არასრულწლოვანთა ქორწინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქორწინების აუცილებელი პირობაა მხარეთა ნებაყოფლობითი თანხმობა, დასაქორწინებელ პირთან სურვილის თავისუფალი გამოვლენა. გავრცელებული თეორიების მიხედვით, ქორწინება ხელშეკრულებაა, ვინაიდან თანხმობა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველია და, აქედან გამომდინარე, ორმხრივი ნების გამოვლენაც. ამ ნების შეზღუდვა ან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიიჩნევა იძულებად.

ქორწინების იძულება ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლის წერით იყო აკრძალული. ამ დოკუმენტით აკრძალა ჩვილთა, დაუსწრებელი და იძულებითი ქორწინებები.

გარდა იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს ქორწინების იძულებას, კანონმდებლის მიერ საქორწინო ასაკის დადგენაც მიმართულია ნაადრევი ქორწინების თავიდან აცილებაზე.

#### რეალური სურათი:

საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილზეა (მოლდავეთის შემდეგ) ნაადრევ ქორწინებათა რაოდენობით. ქვეყანაში 20-24 წლის გოგონათა 19% გათხოვილია 18 წლამდე ასაკში. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიხედვით, მსოფლიოში ყოველწლიურად 15-19 წლამდე ასაკის 16 მილიონი გოგონა აჩენს შვილს. არასრულწლოვანი პატარძლები ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ თუ სხვა ტიპის ოჯახურ ძალადობას ოჯახის წევრთა მხრიდან. ნაადრევი ქორწინება უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ

ჯანმრთელობაზე, უზღუდავს განათლების მიღების შესაძლებლობას. ზოგ რეგიონში ქალის განათლება და საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია, რასაც განაპირობებს მთელი რიგი სოციალურ-კულტურული ფაქტორები, თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც არის აღზრდის სტილი, ოჯახის დამოკიდებულება და სახელმწიფოს უუნარობა ამ პრობლემასთან გამკლავების კუთხით.

იძულებითი ქორწინება პრობლემად მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ არ განიხილება, ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, გვხვდება სრულწლოვნებშიც.

როგორც აღინიშნა, იძულებითი ქორწინება საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულია, თუმცა, რეალურად ჯერაც განიხილება პრობლემად, რომელიც მოითხოვს კანონმდებლობის აღსრულების მყარ მექანიზმთა შექმნას.

## 2.15 მუხლი 34 - დევნა

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, საქართველომ უნდა მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები, რომ წინასწარი განზრახვით მეორე პირისადმი მიმართული განმეორებადი მუქარა, რომელიც მას შიშის გრძნობას უჩენს, კრიმინალიზებული იყოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის დისპოზიცია („სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“) შეიცავს სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) ელემენტებს, მაგრამ კონვენციის ხსენებული მუხლით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა გაცილებით საშიშია და სცილდება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დადგენილი დანაშაულის ფარგლებს (მუქარა). განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით, ადევნება სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც დამნაშავის მხრიდან შეიძლება სხვადასხვა ქმედებით გამოიხატოს: პიროვნების ადევნება; თვალთვალი; მასთან არასასურველი კონტაქტი ან ამის მცდელობა ნებისმიერი მეთოდით; განცხადების ან სხვა რაიმე მასალის გამოქვეყნება, რომელიც ეხება ან შეიძლება ეხებოდეს პირს; ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის გაკონტროლება მეორე პირის მიერ; მესაკუთრისთვის ქონებით სარგებლობაში ხელის შეშლა ან სხვაგვარი ჩარევა. აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებით.

საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციის დებულებათა ასახვის მიზნით, ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულია ცვლილებათა

პაკეტი რიგ კანონპროექტებში, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში. ერთ–ერთი ცვლილებით, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 151<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 151<sup>1</sup>. ადევნება

1. პირადად, ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის, ან სხვა ახლო ნათესავის არაკანონიერი თვალთვალი, ასევე, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება სატელეფონო, ელექტრონული ან სხვა საშუალებებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც ხორციელდება სისტემატურად და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და მისი, ან მისი ოჯახის წევრის, ან სხვა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების, ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც აიძულებს პირს, მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი, ჩადენილი ასეთი ტანჯვის ან შიშის გამოწვევის მიზნით - ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებისათვის სასარგელო შრომით, ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

- ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- ბ) პირთა ჯგუფის მიერ;
- გ) არაერთგზის - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე“.

### რეალური სურათი:

აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია. მთავარია, კანონპროექტი მოკლე ვადებში გადაგზავნოს საქართველოს მთავრობამ პარლამენტში და პარლამენტმაც დროულად განიხილოს და მიიღოს იგი. რაკი ეს დანაშაული სპეციფიკურია და ფართო გამოვლინებებით ხასიათდება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მუხლის პირველ ნაწილში სასჯელის (საზოგადოებისათვის სასარგელო შრომა) ზედა ზღვარი გაიზარდოს 240 საათამდე.

## 2.16 მუხლი 38 - ქალის გენიტალიების დასახიჩრება

### საკანონმდებლო ანალიზი:

წინადაცვეთის ტრადიცია დამახასიათებელია ებრაული და ისლამური საზოგადოებისათვის და გამოიხატება სასქესო ორგანოს ნაწილის მოცილებით. ეს ჩარევა განპირობებულია მხოლოდ რიტუალური თუ რელიგიური დატვირთვით და არა სამედიცინო აუცილებლობით.

შესაბამისად, მსგავსი ქმედება თავისი შინაარსით სრულიად შეესაბამება ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაციას. არასამედიცინო მიზნით ბავშვის სასქესო ორგანოს ნაწილის მოცილება აკმაყოფილებს ჯანმრთელობის

დაზიანების კრიტერიუმებს და რელიგიური და ტრადიციული საფუძვლით მისი გამართლება დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრადიცია მრავალსაუკუნოვანია და თითქმის სოციალურად მისაღები გახდა ვაჟებში, გოგონების წინადაცვეთა უფრო ბარბაროსული ხასიათისაა. შესაბამისად, მოქმედ სამართალსა და საზოგადოებრივ წესებს შორის კონფლიქტი კიდევ უფრო თვალსაჩინოა.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსგავსი ქმედების კრიმინალიზაციას, რაც ზემოაღნიშნულიდან და რეალური სურათიდან გამომდინარე, სასწრაფოდ დასარეგულირებელი საკითხია.

### **რეალური სურათი:**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებით, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თივი, სარუსო და ჩანთლისყურე) მოქმედებს გოგონათა წინადაცვეთის პრაქტიკა, რომელიც „ნათლობის“ რიტუალის სახელითაა ცნობილი. არსებული ინფორმაციით, გოგონათა წინადაცვეთისას სასქესო ორგანოს მცირე ნაწილს კვეთენ სახლის პირობებში.

მსგავსი პრაქტიკა ყვარლის ერთ სოფელში სრულიად მიღებულია, ხოლო ორ სოფელში მხოლოდ რამდენიმე ოჯახი მიმართავს.

ამასთანავე, მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას ამგვარი მანიპულაციით გამოწვეულ რისკებზე.

## **2.17 მუხლი 39 - იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია**

### **საკანონმდებლო ანალიზი:**

კონვენციის 39-ე მუხლის თანახმად: „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომ შემდგომი წინასწარგანზრახული ქმედება იყოს კრიმინალიზებული:

ა. ქალისათვის აბორტის გაკეთება მისგან წინასწარ ინფორმირებული თანხმობის გარეშე;

ბ. ისეთი ოპერაციის ჩატარება, რომლის მიზანი ან შედეგი არის ქალის ბუნებრივად აღწარმოების უნარის ტერმინაცია, მის მიერ წინასწარ ინფორმირებული თანხმობის, ან პროცედურის გააზრების გარეშე.

გ. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს სქესობრივ და რეპროდუქციულ უფლებებს, რათა ქალებმა ნორმალური რეპროდუქციული სამედიცინო მომსახურებითა და უფლებებით ისარგებლონ.“

### რეალური სურათი:

ამ უფლების განხორციელებისათვის საჭიროა მსხვერპლს თავისუფლად მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დამოკიდებულება და მისი ჩართვა, რათა თავიდან ავიცილოთ ის არასასურველი შედეგები, რომლებიც თან ახლავს იძულებით აბორტსა თუ სტერილიზაციას. ქალებისთვის უნდა შეიქმნას რეპროდუქციული დაცვის პროგრამები, რაც, ერთი მხრივ, საინფორმაციო წყარო იქნება მათთვის, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს როგორც საფრთხეს, ისე იმ ქალთა რაოდენობას, რომლებიც იძულებით იკეთებენ აბორტს და ამით არა მხოლოდ შვილს, არამედ საკუთარ ჯანმრთელობასაც ვნებენ. ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მაღალხარისხიანი სამსახურები. ქალები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ისეთ თემებზე, როგორცაა ჯანმრთელობა, სქესი და გენდერული თანასწორობა, ორსულობა, მშობიარობა და შემდგომი პერიოდი, უსაფრთხო აბორტი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.

### 2.18 მუხლი 42 - მიუღებელი გამართლებები ჩადენილ (მათ შორის, ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილ) დანაშაულთათვის

#### საკანონმდებლო ანალიზი და რეალური სურათი:

საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით ისჯება ნებისმიერი დანაშაული, ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით. ქვეყნის კანონმდებლობა შემამსუბუქებელ გარემოებად არ ცნობს ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილ დანაშაულებს.

თუმცა, არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, სისხლის სამართალსა თუ საგნობრივად სხვა სფეროს მიკუთვნებული დანაშაულები, რომელთა ჩადენისას კანონი ცალსახად სჯის დამნაშავეს, მაგრამ მორალი ცალსახადვე იწყალებს.

საქართველოს ზოგიერთი რეგიონისათვის დამახასიათებელია ღირსების აღდგენა სხვადასხვა ქმედებით, მათ შორის, სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულებით, როგორცაა მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ცემა და სხვა.

ამ მხრივ გამორჩეულად საგანგაშო ვითარება შეიქმნა 2014 წელს, როცა 25-ზე მეტი ქალი მოკლა მეუღლემ თუ ყოფილმა მეუღლემ, მათ შორის რამდენიმე - სწორედ „ღირსების სახელით“. გარდა ამისა, ხ. ჯ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის გახმაურებული შემთხვევა კახეთის ერთ-ერთ რეგიონში, სწორედ „ღირსების სახელით“ ჩადენილ დანაშაულებს უნდა მივაკუთვნოთ.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა სახელმწიფოს უმოქმედობა, ვინაიდან არც ერთი პირი არ დასჯილა სისხლის სამართლის წესით თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის. შესაბამისად, საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიუხედავად, სამართალდამცველი ორგანოების უმოქმედობა ან არასათანადო და გულგრილი დამოკიდებულება ხშირად ხელს უწყობს მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრებას.

## 2.19 მუხლი 44 – იურისდიქცია

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის 44-ე მუხლის მოთხოვნები, გარდა მისი მე-3 პუნქტისა, სრულად არის ასახული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 და მე-5, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლებში.

კონვენციის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ამ კონვენციის 36, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილ დანაშაულთა სასამართლო დევნისათვის მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა მათი იურისდიქცია არ იყოს დაქვემდებარებული იმ პირობას, რომ აქტების კრიმინალიზება მოხდა ტერიტორიაზე, სადაც ისინი იყო ჩადენილი“.

აღნიშნული მოთხოვნა მიუთითებს, რომ ამ დანაშაულთა (სქესობრივი ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება; იძულებითი ქორწინება; ქალის გენიტალიების დასახიჩრება; იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია) საზღვარგარეთ ჩადენა, მიუხედავად იმისა, დანაშაულად ითვლება თუ არა იმ ქვეყანაში, საქართველომ მოაქციოს თავის იურისდიქციაში და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მათი ჩამდენი პირების მიმართ.

კონვენციის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტთან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გამოიწვევს ცვლილებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში – „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის“.

## 2.20 მუხლი 46 – დამამძიმებელი გარემოებები

### საკანონმდებლო ანალიზი:

კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ ქმნიან დანაშაულის შემადგენელ ელემენტთა ნაწილს, შეიძლება, შიდა კანონის შესაბამისი დებულებების თანახმად, მხედველობაში იყოს მიღებული, როგორც დამამძიმებელი გარემოებები ამ კონვენციით დადგენილ დანაშაულთა მიმართ განაჩენის განსაზღვრისას, თუ:

- ა. დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის, ან პარტნიორის მიმართ, როგორც ამას აღიარებს შიდა კანონი; ოჯახის წევრის მიერ; პირის მიერ, რომელიც დაზარალებულთან ერთად ცხოვრობდა, ან რომელმაც ბოროტად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება.
- ბ. დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილ იქნა არაერთხელ;
- გ. დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო დაუცველი გახდა;
- დ. დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ, ან მისი თანდასწრებით;
- ე. დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის ერთობლიობით;
- ვ. დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესი დონის ძალადობა;
- ზ. დანაშაული ჩადენილი იყო იარაღის, ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- თ. დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა დაზარალებულს;
- ი. დამნაშავე წინათაც ყოფილა მსჯავრდებული მსგავსი დანაშაულებისათვის“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის შემთხვევები, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში:

- ა. წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- ბ. არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
- გ. ორი ან მეტი პირის მიმართ;
- დ. პირთა ჯგუფის მიერ;
- ე. არაერთგზის“.



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დამამძიმებელი გარემოებები სრულად არ ასახავს კონვენციის 46-ე მუხლით ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებებს.

აქედან გამომდინარე, ამ მუხლის მე-2 პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი დამამძიმებელი გარემოებები: 1) დანაშაულის ჩადენა ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ; 2) პირის მიერ, რომელიც დაზარალებულთან ერთად ცხოვრობდა, ან რომელმაც ბოროტად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება, 3) პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 126<sup>1</sup>, 108, 109, 115, 117, 118, 120, 125, 126, 137-141, 143, 144-144<sup>3</sup>, 149-151, 160, 171, 253, 255, 255<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> ან/და 381<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები (ოჯახში ძალადობის შემთხვევებში); 4) განსაკუთრებული სისასტიკით; 5) იარაღის ან იარაღის მუქარის გამოყენებით; 6) დანაშაულმა მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა დაზარალებულს.

## 2.21 მუხლი 50 – დაუყოვნებლივი რეაგირება, პრევენცია და დაცვა

**საკანონმდებლო ანალიზი:**

კონვენციის 50-ე მუხლის მიხედვით: „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომ პასუხისმგებელმა ძალოვანმა უწყებებმა სწრაფი და სათანადო რეაგირება მოახდინონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცულ ყველა ფორმის ძალადობაზე, დაზარალებულთათვის დაუყოვნებლივი და ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფით.

მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომ პასუხისმგებელი ძალოვანი სტრუქტურები სწრაფად და სათანადოდ ჩაებან ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის პრევენციასა და დაზარალებულთა დაცვაში, მათ შორის, პრევენციული ოპერატიული ზომების განხორციელებასა და სამხილების მოგროვებაში“.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში დეტალურადაა გაწერილი ოჯახში ძალადობისას პოლიციის მუშაკთა სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტები, როგორცაა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, მსხვერპლის ან/და მოძალადის გარიდება შემთხვევის ადგილიდან, საჭიროებისას - მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანა და განთავსება.

ასევე, კანონის მე-2 თავი მთლიანად ეთმობა მეთოდებს, რომელიც მოიცავს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმთა განხორციელებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გამოძიების დაწყების

შემთხვევაში, მისი მიმდინარეობისას და - საჭიროების მიხედვით - დასრულების შემდგომაც, სამართალდამცველმა ორგანოებმა შეიძლება გამოიყენონ დაზარალებულის, მისი ოჯახის წევრის, ან/და ახლო ნათესავის დაცვის სპეციალური ღონისძიება, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

#### **რეალური სურათი:**

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა იძლევა საშუალებას, რომ სრულად შეძლონ სამართალდამცველმა ორგანოებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენცია, შემთხვევაზე სწრაფი რეაგირება და დაზარალებულის დაცვა.

ზემოაღნიშნული კანონების აღსრულების გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან ბრძოლა გამოაცხადოს სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად, რაც მალევე აისახება სამინისტროს ქვედა რგოლის თანამშრომელთა მუშაობის ხარისხზე და მათ მიდგომებზეც ხსენებულ დანაშაულთან ბრძოლისას.

## **2.22 მუხლი 51 – რისკის შეფასება და მართვა**

#### **საკანონმდებლო ანალიზი:**

კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომ ლეტალურობის რისკი, სიტუაციის სერიოზულობა და განმეორებითი ძალადობის რისკი შეფასდეს ხელისუფლების ყველა შესაბამისი რგოლის მიერ, რისკის მართვის და, თუ ეს აუცილებელია, კოორდინირებული უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით“.

#### **რეალური სურათი:**

არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და მინიჭებული უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისათვის მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები, რომ 1-ელ პარაგრაფში მოყვანილმა შეფასებამ გამოძიებისა და დამცავი ზომების გამოყენების ყველა სტადიაზე ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს ფაქტს, რომ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის აქტების ჩამდენნი ფლობენ ცეცხლსასროლ იარაღს, ან შეიძლება ხელი მიუწვდებოდეთ მასზე.

კანონპროექტით „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია მე-3 მოსმენით, მოძალადეს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვადით - აგრეთვე, იარაღთან დაკავშირებულ უფლებათა შეზღუდვის ორდერის მოქმედების პერიოდში - ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება და ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღით სარგებლობა.

დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერთა მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან აეკრძალება გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. ასევე, მოძალადეს დამცავი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერთა მოქმედების, ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში ეკრძალება იარაღის შექმნა.

ამ კანონით სამართალდამცველ ორგანოებს მიეცემათ უფლება, ოჯახში ძალადობის შემთხვევის ადგილზე, შემაკავებელ ორდერთან ერთად, მოძალადისთვის გამოსცენ იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერიც, რაც შეამცირებს განმეორებითი ძალადობისა და, განსაკუთრებით, ლეტალური შედეგის დადგომის რისკს.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეფერირების სუბიექტთათვის - პოლიციისა და სოციალური მუშაკებისათვის - შემუშავდეს რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო, რადგან დღესდღეობით თითოეულ მათგანს თავისი შინაგანი რწმენით უწევს ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხშირად აღემატება მათ გამოცდილებას ასეთ სიტუაციებში.

## 2.23 მუხლი 54 – გამოძიება და სამხილი

**საკანონმდებლო ანალიზი:**

კონვენციის 54-ე მუხლის მიხედვით, „მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომ ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის დროს ჩვენება, რომელიც ეხება დაზარალებულის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იქნას მხოლოდ მაშინ, თუ ეს შესაბამისი და აუცილებელია“.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირის სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემი განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია ამ კანონით მკაცრად გაწერილ

შემთხვევებში, მაგალითისათვის, დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებით. ასეთ მონაცემთა დამუშავებისას დაუშვებელია მათი გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების დებულებათა მიხედვით, მიცემული ჩვენება, რომელიც ეხება პირის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ან სამოქალაქო სამართლებრივი დავის ინტერესებს. ასევე აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჩვენების მიცემისას, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო სხდომა იხურება.

### რეალური სურათი:

კონვენციის 54-ე მუხლის მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია.

## თავი III რეკომენდაციები

კონვენციის საკანონმდებლო პრაქტიკისა და რეალური სურათის ეს ანალიზი მიმართულია იმ ღონისძიებათა გამოკვეთისაკენ, რომლებიც დაწყებულია კონვენციასთან მიერთებამდე და უნდა გატარდეს კონვენციასთან მიერთების შემდეგ, ნაკისრ ვალდებულებათა სრულყოფისა და სრულფასოვნად იმპლემენტაციისათვის.

ამ ანალიზიდან გამომდინარე, წინამდებარე რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია რამდენიმე მიმართულებით: პრევენცია; მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; დამნაშავეთა დასჯა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ქვეყანამ უნდა გაატაროს აღნიშნული კუთხით.

### 1. პრევენცია

- ცნობიერების ამაღლების კამპანიები:

გაგრძელდეს და გაძლიერდეს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები და მიეცეს მუდმივი ხასიათი. ერთჯერადი და ხანმოკლე კამპანიების ნაცვლად, სასურველია მოიძებნოს მათი რეგულარულად წარმოების რესურსი.

- მედია:

დაიგეგმოს მედიის წარმომადგენელთა პერიოდული ტრენინგები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემატიკის სათანადოდ გასაშუქებლად;

აუცილებელია, ჟურნალისტების ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები მხარეთა კონფიდენციალობის დაცვაზეც, რათა ხელი არ შეეწყოს მსხვერპლის ან მოძალადის იდენტიფიცირებას;

გარდა ამისა, მედიის წარმომადგენლებმა უნდა გამოიყენონ ის ენა, რომელიც მიმართული იქნება გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე, და არა პირიქით, როგორც ამას რეალობა გვიჩვენებს;

ამ მიმართულებით სახელმწიფომ შეიმუშაოს ერთიანი, გენდერულად მგრძობიარე სტანდარტი;

- განათლება და პროფესიონალთა ტრენინგები:

ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა და პროფესიონალების ტრენინგები. მათ მიეკუთვნებიან:

პედაგოგები;

სკოლების ფსიქოლოგები;

პოლიციელები;

მოსამართლეები.

ასევე მნიშვნელოვანია:

- საგანმანათლებლო პროგრამები, დისკუსიები სკოლებში ქალთა უფლებების, ძალადობის თავიდან აცილებისა და კონფლიქტების მართვის შესახებ;

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო კურსის შემოღება ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე (აღნიშნული კურსი დანერგილია თსუ-ში);

- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადება სახელმწიფოს მიერ.

## 2. მსხვერპლი

- თავშესაფართა ქსელის განვითარება;
- მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამების დახვეწა და განვითარება;
- მსხვერპლის თავშესაფრებში ყოფნის ვადის გადახედვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;
- მსხვერპლის ალტერნატიული სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის შეუფერხებლად ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- კომპენსაციის მექანიზმის შემუშავება; საკომპენსაციო თანხის რაოდენობისა და კომპენსაციის გაცემის (მისი სიხშირის) კრიტერიუმთა განსაზღვრა;
- იძულებითი ქორწინებისა და არასრულწლოვანთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი ნაბიჯების შემუშავება;
- ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და გატარება „ღირსების“ სახელით ჩადენილ დანაშაულთა აღსაკვეთად;
- შესაბამისი საკონმდებლო და პრევენციული ზომების მიღება გოგონათა წინადაცვეთის აღმოფხვრის მიზნით.

## 3. მოძალადე

- მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია და კონცეპტუალური დახვეწა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა უწყებათაშორისმა საბჭომ, როგორც ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მონიტორინგის მთავარმა ორგანომ ქვეყანაში, პრობლემასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე ანალიზის/ანგარიშის მოსამზადებლად და შემდგომ ღონისძიებათა დასაგეგმავად;

ა) გამოითხოვოს შსს-ს და სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები; და

ბ) სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაცია მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ.